

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2022 წლის ---- ნოემბერი

ქ. ბათუმი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N30 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 02/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.132.016491) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამხანაგობის აღრიცხვაზე დადგომის მიზნით, ამხანაგობის თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს სააგენტოს, როგორც წესი ელექტრონული პორტალის (BMA.BATUMI.GOV.GE) მეშვეობით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალის დასახელების ცვლილება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიცვალოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალის დასახელება. არსებული დასახელება გახლავთ AMKHANDAGOBAGE ხოლო შეცვლის შემდეგ იქნება BMA.BATUMI.GOV.GE

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სახელმწიფო სტრუქტურების GE-დან GOV.GE-ზე გადასვლით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამატებითი ხარჯის გაწევა.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილს.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“.

ვ) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“

ადმინისტრაციის იურიდიული

განყოფილების მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი

მეგი ხალვაში